საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით, გეგზავნებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის პროექტი – „ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე“.

დანართი: -3- ფურცელი

პატივისცემით,

დავით ბაციკაძე

09-01-08/59
19. 03. 2018
4 ფურცელი

<u>**პროექტი**</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მკაცრად გმობს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტს, რაზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ასევე მკაცრად გმობს საოკუპაციო ხაზთან საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორიას სიცოცხლის ხელყოფის ფაქტს, რაზეც, ამ შემთხვევაშიც, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ანექსიიკენ მიმართულ ქმედებებს.

მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას გააძლიერონ ძალისხმევა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2018 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის პროექტზე

„ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა.ა) მიღების მიზეზი:

პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფა. რუსეთის ფედერაციის მიერ ხორციელდება მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვა, აფხაზეთისა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. სამხრეთ ოსეთის იზოლაცია, საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა და უკანონო დაკავებები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევები და ეთნიკური დისკრიმინაცია, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ხელის შეშლა, რაც ამძიმებს ომითა და ოკუპაციით დაზარალებული მოსახლეობის ისედაც რთულ ვითარებას და ახდენს სამშვიდობო პროცესის მიზანმიმართულ შეფერხებას. სრული პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც ადგილზე კონტროლის განმახორციელებელ ძალას.

ა.ბ) პროექტის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის მიღების მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის მაქსიმალური მობილიზება და გაძლიერება.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რეზოლუციით მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას გაძლიერდეს ძალისხმევა, რათა ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. ცხინვალის რეგიონებში მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვის და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების დაშვება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ

ვალდებულებებთან, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას და შესაბამისად, არ ადგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

გ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით ბაციკაძე.

ე) პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით ბაციკაძე.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

19/03/2018
N 669

669-09-02-11-3-201803191400

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს
მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რეზოლუციის პროექტის შესახებ
(N09-01-08/59, 19.03.2018წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის პროექტი ,,ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე“

წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გელა ღოღობერიძე

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი